საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

ქ. ოზურგეთი 4 თებერვალი, 2015 წელი

განკარგულება № 7

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ოქტომბრის N69 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63 -ე მუხლისა და „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 სექტემბრის №576 დადგენილების შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ოქტომბრის N69 განკარგულებაში და თანდართული დანართის:

1. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგებისა და სახაზინო-საბანკო მომსახურების განყოფილებას დაემატოს 1 საშტატო ერთეული - წამყვანი სპეციალისტი ფინანსური და არაფინანსური აქტივების ინვენტარიზაციის საკითხებში;

2. ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ქონების მართვის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილებას დაემატოს 3 საშტატო ერთეული:

ა) სპეციალისტი ინფრასტრუქტურული პროექტების აღრიცხვისა და ანალიზის საკითხებში;

ბ) სპეციალისტი გზებისა და ხიდებისა საკითხებში;

გ) სპეციალისტი მშენებლობის საკითხებში.

3. განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სოციალური დაცვის სამსახურის სოციალური დაცვის განყოფილებას დაემატოს 2 საშტატო ერთეული:

ა) წამყვანი სპეციალისტი ჯანდაცვის საკითხებში;

ბ) სპეციალისტი ლტოლვილთა, ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხებში.

4. სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მოქალაქეთა გაწვევის განყოფილებას დაემატოს 1 საშტატო ერთეული - წამყვანი სპეციალისტი გაწვევის საკითხებში,

ხოლო მობილაზაციის განყოფილებას 1 საშტატო ერთეული - წამყვანი სპეციალისტი წვევამდელთა აღრიცხვის საკითხებში.

5. დაბა ურეკის, თხინვალის, მაკვანეთის, ასკანის, ჯუმათის, ვაკიჯვრის, გურიანთისა და ძიმითის ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლებს დაემატოს გამგებლის წარმომადგენლის თანაშემწის (სპეციალისტის) 1 საშტატო ერთეული.

მუხლი 2. განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: **დავით დარჩია**